

# გიორგი მარგვედაშვიდი ანტინარკოტიკული კამპანიის დაწყების ინიციატივით გამოდის



**საქართველოს პრეზიდენტი ანტინარკოტიკული კამპანიის დაწყების ინიციატივით გამოდის და აღნიშნავს, რომ ნარკოტიკი კატასტროფაა და მას მიაქვს ან მყისიერად ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე, ან გარკვეული დინამიკით სოციუმს აშორებს და ღუპავს ჩვენი მოქალაქეების დიდ ნაწილს. მისი თქმით, ამას სჭირდება აღიარება ყოველგვარი პოლიტიზაციის გარეშე და კამპანია, რომელიც უნდა წარმოებდეს ნარკოტიკის წინააღმდეგ.**

*“კამპანია უნდა აწარმოონ არა ჩემნაირმა ადამიანებმა, არა რაღაც ჯგუფებმა, რომლებსაც არ შეესვრებათ ამ ახარებაბრძოლის გულებში, არამედ კამპანია უნდა აწარმოოს სწორედ ხეროვნების წარმომადგენლებმა, იმ მუსიკოსებმა, მხატვრებმა და იმ სოციუმის წარმომადგენლებმა, რომლებიც დაპარაკობენ თანამედროვე ენაზე. ვფიქრობ, რომ ამ თვადსაზრისით, ჩვენ გამოვადრთ ინიციატივით, რომ კდუბური მუსიკის, ედექტრონური მუსიკის, ამ ხეროვნების წარმომადგენლებს მივცეთ შესაძლებლობა, რომ აწარმოონ ანტინარკოტიკული კამპანია. ფაქტი, რომ ნარკოტიკი ცუდია, ყვერამ იცის, მაგრამ შენ იმ ენაზე, მათთვის გასაგებ ენაზე, იმ კურტურაში შეიტანო ეს კამპანია და ამ კამპანიას უნდა აწარმოებდნენ „ედექტრონშიკები“, „ქდაბერები“, ის ხარხი, ვინც იმ სფეროში ტრიალებს და ეს უნდა იყოს „ანტიდრაგ“ კამპანია,*

*რომედსაც რაღაც ფორმით ჩვენ მივცემთ შესაძლებლობას, რომ განხორციელდეს“, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.*

პრეზიდენტის განცხადებით, ნარკოპოლიტიკა ქვეყანაში რიბერაღური უნდა იყოს, არ უნდა მოვახდინოთ ჩვენი მოქალაქეების დესოციალიზაცია და არ უნდა მოვტაცოთ ჩვენი მოქალაქეები ნორმალურ საზოგადოებრივ პროცესს, ნარკოდანაშაურთან ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა ნარკომომხმარებლების, არამედ ნარკოდისტრიბუტორების მიმართულებით.

*“ჩვენ ვნახეთ, რომ რვა ადამიანი არის დაკავებული ნარკორეაგირაციის ბრძოლებით. თუ ეს ბრძოლება დამტკიცდება, ისინი არიან ასე ვთქვათ ქუჩის დიდურები, გამყიდველები, ამ შემთხვევაშიც და ყველა შემთხვევაში, ნარკოტიკთან ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა დიდურიდან მომხმარებელზე, არამედ დიდურიდან ორგანიზატორზე, შემომტანზე და ბევრით. ეს უნდა იყოს გამოძიების მიმართულება და ასეთ შემთხვევაში ჩვენ რეალურად ნარკოდანაშაურზე გვექნება სერიოზური პასუხი“, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.*